



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მთიულები

მთიულები, ქართველთა ტერიტორიული, ლოკალური ეთნოგრაფიული ჯგუფი. ცხოვრობენ აღმ. საქართველში. მთიანეთის ისტ.-ეთნოგრ. მხარეში - მთიულეთში. მეტყველებენ ქართ. ენის მთიულურ დიალექტზე. სახნავი მიწის სიმცირის გამო მთიულეთის ნამატი მოსახლეობა მუდმივად სახლდებოდა მთისწინეთსა და ბარში. დაბლობში ნასოფლარებს, სხვა მთიელებთან ერთად, მ-ც ავსებდნენ. XIX ს-იდან დაიწყეს ჯგუფური გადასახლება ერწო-თიანეთში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში. XX ს. 20-იანი წლებიდან კომპაქტურად დასახლდნენ შირაქის სოფ. ზემო ქედში. გადასახლებულებს ხშირად თან მიჰქონდათ მთიულთა საერთო სალოცავის - ლომისას ნიში. მოსახლეობის ცვლა მთიულეთშიც ხდებოდა, მაგ., სოფ. გვიდაქესა და ბუჩუკურთაში მოსახლე ბუჩუკურები ხევსურეთიდან არიან გადმოსახლებულები, საიდანაც თან „მთავარანგელოზიც“ წამოუბრძანებიათ, შემდეგ კი „ქაშუეთ წმიდა გიორგის“ (ამ სოფლების ადრინდელი მოსახლეობის სალოცავი) ყმები გამხდარან. მოსახლეობა შემოდიოდა აღმ. საქართველში. მთიანეთის სხვა ეთნოგრ. ჯგუფებიდანაც, მაგ., დვალეთიდან ხადაში მიგრირებული იყვნენ ნარაიძეები. ხშირი იყო მთიულეთში გუდამაყრელთა მიგრაციაც. ფშავიდან არიან მოსული ნადიბაიძეები (ადრინდ. გვარი - გაბიდაური), იმერეთიდან - აბულაძეები. მ-ში, გარდა საერთო სალოცავისა, ყველა სოფელს და გვარს ჰქონდა სასოფლო და საგვარეულო სალოცავები.

მ. წილკნელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდნენ. 1669 „წილკნელის ღმრთიშობლის სამწყსოს სიგელში“ ფიქსირებულია, რომ ისინი ისე წილკნელის „ათთორმეტთაგანის“ მოქცეულები არიან. საბუთებიდან ჩანს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები ადგილ. მაცხოვრებლები იყვნენ. მთიულეთში როდესაც ქალი ან მისი ოჯახის წევრი ავად გახდებოდა, ძლიერ ხატს განკურნებას შესთხოვდა და მჭედელს "ხატის უღელს" შეუკვეთდა, შემდეგ მას ყელზე დაიკიდებდა და ხატს თავს შეავედრებდა. "ხატის უღელს" ქალი, უმეტეს შემთხვევაში, ერთი წელი ატარებდა და "ხატის მონად" მიიჩნეოდა. ბოლოს

ყელუღლიანი დედაკაცი ხატის დღეობაში ნაზუქით, კელაპტრითა და თეთრი ფულით მიდიოდა. მას დეკანოზი დალოცავდა, უღელს კი ხატის ნიშში ინახავდა. ამის შემდეგ ქალი ავადმყოფობისა და ხატის მონობისაგან საბოლოოდ თავისუფლდებოდა. მ-ს წესად ჰქონდათ საფლავის ქვაზე ბორბლის ან მზის ამოკვეთა, რაც, ჭირისუფალთა რწმენით, მიცვალებულს საიქიო ცხოვრების მოწყობაში დაეხმარებოდა.

მთიულეთში გავრცელებული იყო დაბარალეული და გაღარიბებული ადამიანების, ძირითადად მეცხვარის, არაშრომითი დახმარების ტრადიცია - ოჩხარი. ამ დროს მეცხვარე სადილზე იწვევდა ნათესავებს, თანასოფლელებს (იყო ოჩხარის სხვა სოფელში გამართვის შემთხვევებიც), რ-ებიც მას (უფრო მეორე დღეს) ცხვრებით ასაჩუქრებდნენ, პურის ოჩხარის დროს - 8-10 კგ ან ერთი კოდი მარცვლით, თივის ოჩხარის დროს კი - 1-3-ძირი თივით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესაურ ფაქტორს: ოჯახის განაყოფები (მამიშვილობა) ოჩხარის მომწყობს უფრო მეტად ეხმარებოდნენ.

მთიულეთში სამოცი გვარი მკვიდრობს, რ-თაგან უმეტესობა - ძე სუფიქსით მთავრდება: ქავთარაძე, ამირიძე, ჭიკაიძე, მკერვალიძე, კობაიძე, ნადიბაიძე, ბედოიძე, ქარჩაიძე, კვირიძე, ყველაიძე, სუარიძე, ოგბაიძე, სეთურიძე, ზაქაიძე, წამალაიძე, ბენიაიძე, ნაზლაიძე, გაგაძე (ეს გვარი XIV ს-შია მოხსენიებული) და სხვ. არის შვილზე დაბოლოებული გვარები, რ-ებიც XVIII ს-ში სხვა სუფიქსებით დასტურდება: მიყორაშვილი მიყორაიძე იყო, არგანაშვილი - არგანაიძე და არგანაული, გვიანიშვილი - გვიანაიძე, ბიბილაშვილი - ბიბილაური, ტატიშვილი - ტატიაური, მაჩურიშვილი - მაჩურიძე, ბექიშვილი - ბექიაური, კეკიშვილი - კეკიძე და კეკიაური, კედელაშვილი - კედელაური, ჯერმიზაშვილი - ჯერმიზაული, ციხიშვილი - ციხიაური. გვხვდება -ურ სუფიქსიანი გვარები: პატაშური, ბუჩუკური, ჩოქური, კაიშაური, მურღული, სისაური (იგივე ქვიცური), მძელური, ირიაული, გომური, მიდელაური, ბუქური, ბურდული... არის ერთი უსუფიქსო გვარიც - ბუთხუზი. ისინი მღვთაში ღუდიდან არიან ჩამოსული.

1819 მთიულეთში გავრცელებული სახელები იყო: ქალისა - ანა, დედუნა, ელენე, თინათინ, თამარა, ლელუკა, მარიამ, მარინე, ქალთამზე, ქეთევან, ხოშია და სხვ.; კაცისა - ანდრია, ბერი, გოდერძი, ზაზა, ზარიბეგ, კიკოლა, კურდღელა, მარტია, მახარებელ, მანე, ნინია, პაპა, სიხარული, სოსია, ფოცხვერა, შიო, ხახა, ხუმარა... 1781 აღწერაში მამაკაცის შემდეგი სახელებია ფიქსირებული: აბულა, ბაია, ბეჩო, გოდა, გოჭია, გუგუა, გუგულა, დათუნა, დოლა, ელო, ზარიძე, თვარელი, ინა, კაცია, კვირიკა, ლაგაზა, ლეგა, ლომი, მამა, მგელა, ნასყიდა, პატარკაცი, უძილა, ღთისია, ღუჭა, ქურციკი, შაშვია, ჩიტა, ჭიჭიკა, ხახო...

ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტ.-ეთნოგრ. მხარეებში, მთიულეთშიც გვარები დანაყოფებად ჯგუფდება. ხშირად სოფლები დასახლებული იყო ერთი გვარით და გვარის სახელს ატარებდა: მაგ., ქავთარანში მკვიდრობდნენ ქავთარაძეები, სოფ. ამირნში - ამირიძეები, სოფ. ნადიბანში - ნადიბაიძეები, სოფ. სეთურებში - სეთურიძეები, სოფ.

ჯალმინში - ჯალმაიძეები, სოფ. ბაქანში - ბაქაიძეები, სოფ. ბეგონში - ბეგოიძეები, სოფ. ბენიანში - ბენიაიძეები... გვარების დანაყოფებს მთიულები „კომობას“, „ბუდობას“, „ძირობას“ უწოდებენ. მაგ., ქვემო მლეთელი (ბურდულები) იყოფოდნენ შიუკიანთ, ჭაბუკიანთ და პოვლიანთ ძირობებად/ბუდობებად. თავის მხრივ, შიუკიანთ ძირობაში შედიოდნენ ქურთავლიანთ, ვაჟიკიანთ და ბეჟანიანთ კომები, ხოლო ჭაბუკიანთ ძირობაში - ხოსროანი და როდომიანი; პოვლიანთ ძირობაში - ხუციანთი, ჭოჭოლანთი, ვარდანიანთი, ბალაანთი, მჭედლიანთი.

მთიულური გვარი, ისევე როგორც საერთოდ ქართ. გვარი, ეგზოგამიური იყო - ერთი გვარისანი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. საქორწინო ურთიერთობაში ერთი პრივილეგირებული გვარი - ბურდული არსებობდა. მათ როგორც „ლომისის“ დეკანოზებს და აგრეთვე დვალეთში დასახლებული მეკობრე ოსების დამმარცხებლებს, ქალის თხოვნაზე უარს არავინ ეუბნებოდა.

**რ. თოფჩიშვილი**

---